დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: შორენა ჯაფარიძე
წევრები:
მარინა ბიბილური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

სკოლამდე-განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი
შემოსული № _____
_____ 20 წ.
დანართი: _____

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს ბიზნეს აკადემია - SBA

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: კერძო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550

სახე:

- [X] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018 წელი}

II. საერთო მიმოხილვა

შპს-საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ასევე ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში მოდიფიცირებული მე-5 საფეხურის <u>საბაჟო საქმის სპეციალისტის</u> პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 საფეხურის საბაჟო საქმის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ განსახილვევად წარმოდგენილია მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და არა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში მითითებული მე-5 საფეხურის <u>საბაჟო საქმის სპეციალისტის</u> პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მე-5 საფეხურის „საბაჟო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს-საქართველოს ბიზნესის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 13 სექტემბრის N076 ბრძანებით, ხოლო 2017 წლის 24 ნოემბრის N127 ბრძანების საფუძველზე პროგრამაში გარკვეული ცვლილებები შევიდა.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა დაწესებულების მიერ შემუშავებული შემდეგი დოკუმენტების შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტებთან:

- დაწესებულებაში დამტკიცებული მე-5 საფეხურის „საბაჟო საქმის" მოდიფიცირებული პროგრამის შესაბამისობა „საბაჟო საქმის" ჩარჩო დოკუმენტთან;
- პროგრამაში წარმოდგენილი ზოგადი, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების შესაბამისობა „საბაჟო საქმის" ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილ მოდულებთან;
- არჩევითი მოდულების რელევატრურობა და მათი შესაბამობა იმ ჩარჩო დოკუმენტებთან, საიდანაც ეს მოდულებია აღებული;
- პროგრამაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო გეგმა;
- პროგრამაში წარმოდგენილი მოდულების მატერიალური რესურსის შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ სასწავლო გარემოს მინიმალური მატერიალურ რესურსთან;
- საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

{თბილისი, 2018 წელი}

პირველ რიგში, ექსპერტებმა გადაამოწმეს დაწესებულების მიერ დამტკიცებული მე-5 საფეხურის „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა „საბაჟო საქმის“ ჩარჩო დოკუმენტთან და დაადგინეს, რომ განსხვავებით ჩარჩო დოკუმენტისგან, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამაში წარმოდგენილია სხვა ჩარჩო დოკუმენტებიდან აღებული არჩევითი მოდულები, ესენია:

- <u>მოდული რუსული ენა</u> - 5 კრედიტის მოცულობის, რომელიც ზოგად მოდულს წარმოადგენს;
- <u>მოდული „ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება“-</u> 3 კრედიტი, აღებულია ჩარჩო დოკუმენტიდან „ ბუღალტრული აღრიცხვა“ (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ)'
- <u>მოდული „საგადასახადო დეკლარირება“ -</u> 4 კრედიტი- აღებულია ჩარჩო დოკუმენტიდან „ბუღალტრული აღრიცხვა“ (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ);
- <u>მოდული „სერვის პლუსი“</u> - 1.5 კრედიტი- აღებულია ჩარჩო დოკუმენტიდან „საფინანსო სერვისები“ (სარეგისტრაციო ნომერი 04117-პ;

არჩევითი მოდულების ანალიზმა ცხადყო, რომ დაწესებულების მიერ მათი შერჩევა მოხდა წესების დაცვით და შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- <u>წარმოდგენილია დაწესებულების დასაბუთებული პოზიცია არჩევითი მოდულების ბლოკის შემოტანის თაობაზე</u>, კერძოდ პროგრამაში მითითებულია შემდეგი: „არჩევითი მოდულები შერჩეულ იქნა დარგის სპეციფიკისა და მიმართულების მიხედვით. რაც დაეხმარება კურსდამთვრებულს დაკისრებული მოვალეობის უკეთ შესრულებაში“. ექსპერტების აზრით, აღნიშნული დასაბუთება ზოგად ხასიათს ატარებს, ამიტომ მათ დამატებითი განმარტებისთვის მიმართეს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს და ასევე გადაამოწმეს დაწესებულების ვებ-გვერდი. გაირკვა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მეთოდოლოგია, ჩატარებული აქვს ანალიზი კონკრეტულ არჩევით მოდულებთან მიმართებაში. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტებმა არჩევითი მოდულების მიზანშეწონილობა დასაბუთებულად ჩათვალეს.
- <u>გათვალისწინებულია არჩევით მოდულზე დაშვების წინაპირობები,</u> კერძოდ ოთხივე არჩევითი მოდული წინაპირობის გარეშეა, რაც არ შეაფერხებს მათ განხორციელებას;
- <u>გათვალისწინებულია არჩევითი მოდულების კრედიტების ჯამური რაოდენობა.</u> ის შეადგენს 13.5 კრედიტს, რაც პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 12% -ია და არ აღემატება ზღვრულ ოდენობის 20%-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წელი}

„საბაჟო საქმის“ ჩარჩო დოკუმენტში კრედიტების მოცულობა შეადგენს 93 კრედიტს, ხოლო არჩევით მოდულების შემოტანით, გაიზარდა კრედიტების მოცულობა 106.5 კრედიტამდე და შესაბამისად გაიზარდა სწავლის ხანგრძლივობაც. აღნიშნული ცვლილებები სწორად არის ასახული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის 2 ვარიანტი - ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. გეგმები შედგენილია სემესტრების მიხედვით, სწავლება პარალელური რეჟიმში ხორციელდება. მოდულების სწავლების თანმიმდევრობა შერჩეულია მოდულების შინაარსისა და წინაპირობების გათვალისწინებით. კვირეების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ექსპერტებმა შეამოწმეს პროგრამაში წარმოდგენილი 3 ზოგადი და 16 სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულის შესაბამისობა „საბაჟო საქმის„ ჩარჩო დოკუმენტთან და დაასკვნეს, რომ ყველა მოდული ადაპტირებულია წესების სრული დაცვით. ასევე შემოწმდა არჩევითი მოდულების „ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება“ და „საგადასახადო დეკლარირება“ შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან „ბუღალტრული აღრიცხვა“ და არჩევითი მოდულის „სერვის პლუსი“ შესაბამისობა „საფინანსო სერვისების“ ჩარჩო დოკუმენტთან. ამ შემთხვევაშიც მოდულების ადაპტაცია სწორად არის განხორციელებული.

ექსპერტების მიერ შემოწმდა პროგრამაში წარმოდგენილი მოდულების მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და დადგინდა, რომ ის შესაბამისობაშია „საბაჟო საქმის“, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „საფინანსო სერვისების“ ჩარჩო დოკუმენტების შესაბამის მოდულებში წარმოდგენილ სასწავლო გარემოს მინიმალური მატერიალურ რესურსთან.

ექსპერტებმა ასევე განიხილეს დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი მოდულების მიხედვით და მითითებულია მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება.

<u>ექსპერტების აზრით, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის - SBA მიერ წარმოდგენილი მე-5 საფეხურის „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია „საბაჟო საქმის“ ჩარჩო დოკუმენტთან.</u>

თბილისი 19.02.2018 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

{თბილისი, 2018 წელი}